პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-15 წელი.

№ 156 (1326) | სამშაბათი, 30 დეკემბერი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.



ს უ რ ა თ ზ ე: არმიელ ძალოსანთა გუნდი, რომელმაც ამას წინათ საბჭოთა კავშირის პირველობაზე მოიპოვა გამარჯვება.

## ოცდაერთი წლის შემდეგ

ა. ფალავანდიშვილი,

**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

1959 წლის სპორტული სეზონის გა[...]ნა წილად ხვდათ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მოჭადრაკეებს, რომლებიც 9 იანვარს თბილისში ჩაებმებიან საბჭოთა კავშირის XXVI საჭადრაკო ჩემპიონატში.

ჩვენი დედაქალაქის სპორტული საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ხვდება ჩემპიონატს. საჭადრაკო სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩვენს ახალგაზრდობაში და თამამად შეიძლება ითქვას, XXVI პირველობის მსგავსი ძლიერი ჩემპიონატი ჩვენში არ ჩატარებულა. ამას ნათლად ადასტურებს მონაწილეთა შემადგენლობა: გროსმაისტერები ი. ავერბახი, დ. ბრონშტეინი, ე. გელერი, პ. კერესი, ვ. კორჩნოი, ტ. პეტროსიანი, ბ. სპასკი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი, მ. ტაიმანოვი, საერთაშორისო ოსტატები: ე. ვასიუკოვი, რ. ნეჟმეტდინოვი, ს. ფურმანი, რ. ხოლმოვი; სპორტის ოსტატები ბ. გურგენიძე, ნ. კროგიუსი, ა. ლუტიკოვი, ა. ნიკიტინი და ი. იუხტმანი.

ჩემპიონატის მაღალ დონეზე ჩატარების, მონაწილეთათვის საუკეთესო პირობების შექმნისა და საჭადრაკო ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზ. კვაჭაძის თავმჯდომარეობით.

ჩემპიონატი ჩატარდება რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობასა და საკონცერტო დარბაზში (ამ უკანასკნელში მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება). პარტიების დემონსტრაციისათვის მზადდება სპეციალური დაფები, ხოლო მონაწილეთათვის — ჭადრაკის სპეციალური მაგიდები. მაყურებელთა უკეთ მომსახურებისათვის შეიქმნა პრეს-ბიურო, რომელიც ყოველ ტურში ორჯერ გააშუქებს პარტიებში ბრძოლის მსვლელობას. გაზეთებისა და რადიოს კორესპონდენტებისათვის, რომლებიც ჩამოვლენ სხვადასხვა ქალაქებიდან, დაიდგმება საქალაქთაშორისო კავშირის ტელეფონები, თეატრის შენობაშივე მოეწყობა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

შეჯიბრების მსვლელობაში გამოიცემა სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენები, რომლებშიც გამოქვეყნდება ყველა გათამაშებული პარტია. ბიულეტენი გამოიცემა რუსულ ენაზე სულ 20-ჯერ 15 ათასი ეგზემპლარის ტირაჟით. ბიულეტენები დაიგზავნება საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დიდ ქალაქში.

ჭადრაკის მოყვარულთათვის გაიყიდება სპეციალური აბონემენტები—დასაწყისში ათ ტურზე, ხოლო შემდეგ ცხრა ტურზე. საკონცერტო დარბაზში დასწრებისათვის აბონემენტები არ გამოდგება. განზრახულია აბონემენტების ორგანიზებულად გავრცელება, რაც უახლოეს დღეებში დაიწყება. ბავშვთათვის გამოყოფილია სპეციალური ბილეთები, რომლებიც გავრცელდება ბავშვთა საჭადრაკო წრეების მეშვეობით.

უკვე დამტკიცებულია შეჯიბრების რეგლამენტი: 2 ტური, გადადებული პარტიების დამთავრება, კიდევ 2 ტური, კვლავ გადადებული პარტიების დამთავრება და მე-7 დღეს დასვენება. შეჯიბრების დებულებაში შეტანილია მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ აკრძალულია 41-ე სვლაზე ადრე მთავარი მსაჯის ნებადაურთველად ყაიმზე შეთანხმება. იმ შემთხვევაში, თუ პირველ ადგილს გაიყოფს ორი მონაწილე, მათ შორის 21 თებერვლიდან მოსკოვში შედგება მატჩი ექვსი პარტიიდან. თუ პირველ ადგილს გაიყოფს რამდენიმე მონაწილე, მაშინ გაიმართება მატჩ-ტურნირი მათ შორის.

შეჯიბრების მსვლელობისას თეატრის ფოიეში მოეწყობა გროსმაისტერებისა და ოსტატების მონაწილეობით ერთდროული თამაშების სეანსები, ლექციები, პარტიების გარჩევა და სხვ.

ორგკომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული შეჯიბრება გამოყენებულ იქნას საქართველოში საჭადრაკო ხელოვნების შემდგომი პოპულარიზაციისათვის, რისთვისაც საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა სპორტულ საზოგადოებებსა და საქალაქო ფიზკულტურის კომიტეტს დაავალა ჩაატარონ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ქარხნებსა და დაწესებულებებში გროსმაისტერებისა და ოსტატების ლექცია-საუბრები, ერთდროული თამაშის სეანსები და სხვ. მისასალმებელია, რომ ბევრმა გაზეთმა დააწესა სპეციალური ჯილდოები ტურნირის მონაწილეთათვის. შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობაში არიან მთავარი მსაჯის მოადგილეები, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ი. როხლინი (მოსკოვი), რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვ. მიკენასი (ვილნიუსი); მსაჯები: საკავშირო კატეგორიის მსაჯები: ა. აკოპიანი (ერევანი), გ. გაჩეჩილაძე (თბილისი), ი. ზრაჟევსკი (მოსკოვი), რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვ. ზაკი (ლენინგრადი).

## თბილისის „დინამო"— მესამე ადგილზე

**დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში**

მ ო ს კ ო ვ ი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). წყალბურთში საკავშირო პირველობის უკანასკნელი ტურის მატჩებს ცვლილება არ შეუტანია გათამაშების ცხრილში. მოსკოვის „დინამომ", რომელსაც უკვე განაღდებული ჰქონდა ჩემპიონის სახელი, ადვილად მოუგო თბილისის „ბურევესტნიკს" —6:0. მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელებმა მოუგეს ლვოვის „დინამოს" — 4:3, ლენინგრადის საზღვაოსნო სასწავლებლის გუნდმა — მოსკოვის „შრომით რეზერვებს" — 5:2, ცსკ მო-მ — ლენინგრადის სკიფს —6:2, წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიისა და მოსკოვის ავტოქარხნის წყალბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 3:3.

თბილისის „დინამომ" თავისი უკანასკნელი მატჩი ითამაშა კიევის სკიფთან, მოიგო იგი ანგარიშით 3:2 და მოიპოვა მესამე საპრიზო ადგილი.

• • •

**გათამაშების საბოლოო ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" მ. | 22 | 20 | 2 | 0 | 95:39 | 42 |
| ცსკმო | 22 | 17 | 3 | 2 | 86:39 | 37 |
| „დინ." თბ. | 22 | 17 | 1 | 4 | 79:47 | 35 |
| უნივერს. მ. | 22 | 16 | 2 | 4 | 76:41 | 34 |
| კკფ | 22 | 9 | 3 | 10 | 73:60 | 21 |
| ზილ მ. | 22 | 7 | 5 | 10 | 60:59 | 19 |
| სკიფი ლ. | 22 | 7 | 5 | 10 | 64:63 | 19 |
| საზ. სას. ლ. | 22 | 7 | 4 | 11 | 51:55 | 18 |
| სკიფი კ. | 22 | 8 | 2 | 15 | 58:65 | 18 |
| „შრ. რეზ". მ | 22 | 6 | 0 | 16 | 65:88 | 12 |
| „დინ". ლვ. | 22 | 3 | 3 | 16 | 55:81 | 9 |
| „ბურ." თბ. | 22 | 0 | 0 | 22 | 33:154 | 0 |

კიდევ ორი დღე და გათენდება 1959 წელი, ახალი წელი. საბჭოთა ხალხი მას ხვდება დიდი წარმატებებით კულტურისა და სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე. 1959 წელი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის: მოსკოვში გაიმართება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა, რომელიც გადაწყვეტს მრავალ ისტორიულ საკითხს. პარტიის მოწოდებით გმირი საბჭოთა ხალხი ჩაებმება ბრძოლაში სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

1959 წელი მეტად მნიშვნელოვანია საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციებისათვისაც. 1959 წლის ზაფხულში მოსკოვში ჩატარდება სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადა, რომელიც შეაჯამებს ჩვენს მუშაობას და გამოავლენს უძლიერესებს სპორტის 25 სახეობაში.

ყველასათვის ცნობილია, რომ სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადა ბოლო ეტაპია და მას წინ უსწრებს შიდასაკოლექტივო, სარაიონო, საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკური სპარტაკიადები. ამჟამად გვსურს გამოვთქვათ ჩვენი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ საქმიანობენ ადგილებზე შექმნილი სპარტაკიადის ჩამტარებელი კომიტეტები.

## სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტების ღირსების საქმე

ჩვენი გაზეთის ბრიგადა ჯერჯერობით ეწვია ცხაკაიას, დუშეთს (სადაც ჩატარდება ზონალური სპარტაკიადები), ბათუმს, სოხუმს (სადაც ჩატარდება ავტონომიური რესპუბლიკების სპარტაკიადები), ჩოხატაურსა და კასპს. პირველი შთაბეჭდილება არ არის ცუდი. მაგალითად, დუშეთში საორგანიზაციო კომიტეტს უკვე გათვალისწინებული აქვს ზონალური და სარაიონო სპარტაკიადის თითქმის ყველა დეტალი: ბაზების რემონტი, მონაწილეთა და მსაჯთა კოლეგიის დასაბინავებელი ადგილები და კვება, საჭირო სპორტული ინვენტარი და ა. შ. კომიტეტის წევრებს შორის განაწილებულია ფუნქციები, ყველა ჩაბმულია საქმეში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე დაამტკიცა დებულება, დაიყვანა იგი ძირეულ კოლექტივებამდე. შედგენილია აჭარის ნაკრები გუნდების საორიენტაციო სია, წვრთნის გრაფიკი და ა. შ.

საქმიანობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტიც. იგი დიდ ყურადღებას უთმობს ნაკრები გუნდების დაკომპლექტებას, ამ მიმართებით კონკრეტული ღონისძიებებიც კი გაატარა, მაგრამ ჩვენ გვინდა მას შევახსენოთ, რომ რაიონებში ეს საქმე თვითდინებაზეა მიშვებული. ოჩამჩირეში, გულრიფშში, ტყვარჩელში საორგანიზაციო კომიტეტები არაფერს აკეთებენ. მაგალითად, ტყვარჩელში საორგანიზაციო კომიტეტს სპორტის არც ერთ სახეობაში არა აქვს ნაკრები გუნდის სია, კომიტეტის წევრებს შორის დღემდე არ არის განაწილებული ფუნქციები და სხვ. ასეთი შეუწყნარებელი მდგომარეობა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც გვაქვს.

ნურავინ იფიქრებს, რომ სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტები მთელი ძალით მხოლოდ მაშინ უნდა ამოქმედდნენ, როცა უშუალოდ ღონისძიებათა ჩატარებას მოჰკიდებენ ხელს მაშინ გვიანი იქნება. იმდენად გვიანი, რომ შეიძლება თავი ველარ გავართვათ საქმეს და ჩავვარდეთ, შევრცხვეთ მეზობელი რაიონებისა და ქალაქების სპორტული კოლექტივების წინაშე.

სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტებში მუშაობა უნდა დუღდეს. მისი ყოველი წევრი საქმის კურსში უნდა იყოს, თუ როგორ მდგომარეობაშია ესა თუ ის ბაზა, როდის და როგორ ვარჯიშობს ესა თუ ის ნაკრები, საორგანიზაციო კომიტეტის წევრები უნდა ესწრებოდნენ ყველა შეჯიბრებას, ეხმარებოდნენ მწვრთნელებს ახალი ტალანტების გამოვლინებაში. უნდა დავიხსომოთ, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს სპარტაკიადაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება მომავალ წელს არა აქვთ, ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება და ძალები იქით უნდა იქნას მიმართული.

კიდევ ორი დღე და დადგება ახალი, 1959 წელი, სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის წელი. ამიტომ ამ დიდი ღონისძიებისათვის მზადების პირველ ეტაპზე საჭიროა გამოვაცოცხლოთ, ფეხზე დავაყენოთ, სისხლსავსე გავხადოთ სპარტაკიადის შტაბების — საორგანიზაციო კომიტეტების საქმიანობა. ამას მოითხოვს სპარტაკიადის ძირითადი ამოცანა — ჩვენს სამშობლოში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობა.

# მძლეოსნობაში ათი საუკეთესო შედეგი

## 1958 წლის 31 დეკემბრისათვის

### ვაჟები

**100 მ.** 1. ლ. ანთაძე (თბ. „ლოკომოტივი") — 10,4, 2. რ. ტრაპაიძე (თბ. „დინამო") — 10,4, 3. ე. ლომთაძე (თბ. „სპარტაკი") — 10,5, 4. ნ. კლიუევი (თბ. „შრ. რეზ.") — 10,5, 5. ა. ბედუკაძე (თბ. „განთიადი") — 10,6, 6. ზ. ჯარაშნელი (თბ. „დინამო") — 10,7, 7-8. ბ. სამოილენკო, ს. ბურდეინი (ორივე თბ. „დინამო") — 10,9, 9-14. ნ. ჯვებენავა (თბ. „სპარტაკი"), გ. თურმანიძე (თბ. „ბურევესტნიკი"), ე. ფილიევი (ბათ. „დინამო"), ს. ფრიდმანი (ქუთ. „განთიადი"), მ. ჩუხრუკიძე, მ. შაპირო (ორივე თბ. „ბურევესტნიკი")—11,0. საშუალო შედეგი 1958 წ. — 10,7, 1957 წ. — 10,8.

**200 მ.** 1. რ. ტრაპაიძე — 21,5, 2. ნ. კლიუევი — 21,7, 3. ე. ლომთაძე — 21,8, 4. ლ. ანთაძე — 21,8, 5. ზ. ჯარაშნელი — 21,9, 6. მ. ჩუხრუკიძე — 22,4, 7. ვ. კაფკა (თბ. „ლოკომოტივი") — 22,5, 8. ა. ბედუკაძე — 22,6, 9. გ. თურმანიძე — 22,7, 10-11. მ. გოლდი (ბათ. „დინამო"), ლ. ნიკოგოსოვი (თბ. „განთიადი")— 22,8. 1958 წ. — 22,1, 1957 წ. — 22,1.

**400 მ.** 1. ნ. კლიუევი — 49,0, 2. ო. ხოლოდოკი (თბ. „დინამო")—50,2, 3. ბ. კიუტი (გალი „კოლმეურნე")— 50,3, 4. ი. კოროსტილოვი (ქუთ. „განთიადი") — 50,4, 5. ლ. ნიკოგოსოვი — 50,8, 6. მ. ჩუხრუკიძე — 50,9, 7. ა. რაზდორსკიხი (ბათუმი) — 51,0, 8. ვ. ივანოვი (თბ. „ბურევესტნიკი") — 51,3, 9. პ. ნაგორნი (თბ. „ბურევესტნიკი") — 51,6, 10. ი. დიაჩკოვი (თბ. „დინამო") — 51,7, 1958 წ. — 50,7, 1957 წ. — 50,6.

**800 მ.** 1-3. ნ. თვაური (თბ. „სპარტაკი"), ვ. ივანოვი (თბ. „ბურევესტნიკი"), ვ. ივანოვი (სოხ. „კოლმეურნე") — 1.55,8, 4. ა. გრინევსკი (ქუთ. „განთიადი"), — 1.58,0, 5. რ. სუროვი (თბ. „ლოკომოტივი") — 1.58,2, 6. ვ. პოპოვი (თბ. „სპარტაკი") — 1.58,7, 7. ი. კოროსტილოვი—1.59,0, 8. ი. ლოგუნოვი (თბ. „შრ. რეზ.") — 2.00,0, 9. ვ. მიაგკი (ქუთ.) — 2.00,8, 10. ვ. ლეპსკი (სოხ. „ბურევესტნიკი") — 2.01,3. 1958 წ. — 1.58,3, 1957 წ. — 1.59,2.

**1.500 მ.** 1. ნ. თვაური — 4.00,6, 2. ვ. პოპოვი — 4.04,2, 3. ვ. ივანოვი — 4.04,5, 4. ვ. პოზნარი (თბ. საბჭ. არმია) — 4.06,0, 5. ვ. ივანოვი (სოხუმი) — 4.07,4, 6. ნ. სერგეევი (თბ. „სპარტაკი") — 4.08,0, 7. ვ. სუხანოვი (თბ. „ბურევესტნიკი") — 4.08,8, 8-9. მ. კუპუხიძე (ქუთ. „კოლმეურნე"), კ. აგრბა (თბ. „შრ. რეზ.") — 4.10,0. 10. ვ. ლეპსკი — 4.10,2. 1958 წ. — 4.07,0, 1957 წ. — 4.08,3.

**5.000 მ.** 1. ნ. სერგეევი — 14.48,2, 2. ვ. სუხანოვი — 15.12,0, 3. ვ. პოზნარი — 15.19,8, 4. გ. გოდერძიშვილი (თბ. „ბურევესტნიკი")—15.29,1, 5. ი. უშაკოვი (თბ. „სპარტაკი") — 15.29,8, 6. ვ. ზვერევი (თბ. „ლოკომოტივი") — 15.42,2, 7. დ. ბარტიუკი (საბჭ. არმია) — 15.44,0, 8. ვ. ხიჩკოვი (საბჭ. არმია) — 15.53,0, 9. ვ. ივანოვი (სოხუმი) — 15.59,0, 10. ვ. შარონოვი (თბ. საბჭ. არმია) — 16.02,0, 1958 წ. — 15.33,9, 1957 წ. — 15.38,4.

**10.000 მ.** 1. ნ. სერგეევი—30.55,0, 2. ვ. ზახაროვი (სოხ. „კოლმეურნე") — 32.05,8, 3. ი. უშაკოვი — 32.19,0, 4-5. დ. ბარტიუკი, ფ. ივსიანიკოვი (ბათ. „დინამო") — 32.50,0, 6. ვ. სუხანოვი — 33.10,8, 7. ვ. ვინოგრადოვი (სოხ. „დინამო") — 35.38,0, 8. ს. არუთინოვი (თბ. „დინამო") — 35.45,0, 9. ა. ფატიხუტდინოვი (ქუთაისი) — 36.11,4, 10. პ. ყარკი (სოხ. „დინამო")—36.17,4, 1958 წ. — 33.08,0, 1957 წ. — 33.27,6.

**110 მ თარჯრბენი.** 1. მ. ტუღუში (ბათ. „დინამო") — 14,5, 2-3. გ. გვინჩიძე (თბ. „დინამო"), გ. ლეჟავა (თბ. „დინამო") — 14,8, 4. ი. დიაჩკოვი — 14,9, 5. ბ. სამოილენკო — 15,1, 6. ნ. ცხვედიანი (თბ. „ლოკომოტივი") — 15,3, 7. ვ. ბაზალენკო (ბათუმი) — 15,5, 8. ო. ხოლოდოკი — 15,6, 9-10. ნ. ქართველიშვილი (თბ. „ლოკომოტივი"), ვ. ფედოროვი (თბ. „ლოკომოტივი")—16,0.

**200 მ თარჯრბენი.** 1. რ. ტრაპაიძე — 23,9, 2. მ. ტუღუში — 24,5, 3. ი. დიაჩკოვი — 24,7, 4. გ. გვინჩიძე — 25,1, 5. პ. ნაგორნი — 25,5, 6. ბ. სამოილენკო — 25,6, 7. გ. ლეჟავა — 26,0, 8. ზ. ჯარაშნელი — 26,2, 9. ვ. არსიაშვილი (თბ. „დინამო") — 27,0, 10. ნ. გაგოშიძე (თბ. „ლოკომოტივი") — 27,6. 1958 წ. — 25,6, 1957 წ. — 26,0.

**400 მ თარჯრბენი.** 1. პ. ნაგორნი — 57,4, 2. ლ. ნიკოგოსოვი — 58,8, 3. ა. რაზდორსკიხი—59,0, 4. ნ. გაგოშიძე — 59,2, 5. ვ. არსიაშვილი — 1.00,4, 6. ვ. ალიევი — (თბ. „შრ. რეზ".) — 1.01,0, 7. ა. არსენტიევი (თბ. „დინამო") — 1.03,4, 1958 წ. — 59,8, 1957 წ. — 58,5,

**3000 მ დაბრკოლებებით.** 1. ვ. სუხანოვი — 9.35,8, 2. გ. გოდერძიშვილი — 9.42,3, 3. ვ. ვაშაკიძე (თბ. „დინამო") — 9.55,2, 4. დ. ბარტიუკი—9.57,8, 5. ვ. პოზნარი—9.59,0, 6. ლ. შელია (ზუგდიდი „კოლმ") — 10,05,0, 7. ვ. ფომინი (თბ. „ბურევესტნიკი") — 10.05,6, 8. მ. კუპუხიძე — (ქუთ. „განთიადი") — 10.13,9. 1958 წ. — 9.56,7, 1957 წ. — 10.14,7.

**სიგრძე.** 1. რ. ქვაჩახიძე (თბ. „სპარტაკი") — 7,37, 2. თ. გოგია (ფოთი „კოლმეურნე") — 7,09, 3. ბ. სამოილენკო — 7,06, 4. ვ. ჩხეიძე (თბ. „სპარტაკი") — 7,04, 5. გ. ბოხუა — (ბათ. „განთიადი") — 7,03, 6. ვ. ერინი — (ბათუმი) — 6,99, 7. ს. კირაკოზოვი (თბ. „სპარტაკი") — 6,92, 8. ე. პიპინოვი (ბათუმი)—6,88, 9. ვ. კალიუჟნი (ახალციხე) — 6,85, 10. გ. გვინჩიძე — 6,83, 1958 წ. — 7 მ, 1957 წ. — 6,92.

**სიმაღლე.** 1. რ. შავლაყაძე (თბ. „დინამო") — 2,10, 2. რ. ლოხოვი (სტალინირი „ბურევ.") — 2,00, 3. გ. გორბაჩოვი (თბ. „ლოკომოტივი") — 1,95, 4-6. ი. დიაჩკოვი, ო. ბარგანჯია (ოჩამჩირე „კოლმ".), ი. ებანოიძე (თბ. „განთიადი") — 1,90, 7-10. გ. ვიბლიანი (თბ. „ბურევესტნიკი"), რ. ქვაჩახიძე, ლ. ლახტიონოვი (თბ. „ლოკომოტივი"), ი. კულუხოვი (სტალინირი „სპარტ.") — 1,85. 1958 წ. 191,5, 1957 წ. — 185.

**სამხტომი.** 1. ვ. ჩხეიძე—15,63, 2. ვ. ალექსანდროვი — (სოხ. „ბურევესტნიკი") — 15,13, 3. ლ. დარახველიძე (თბ. „სპარტაკი") — 14,83, 4. ა. ერინი — 14,68, 5. ვ. გორბაჩოვი — 14,60, 6. ა. ჩოჩიევი — 14,48, 7. ო. თაყაიშვილი (თბ. „ბურევესტნიკი") — 14,26, 8. ზ. მაჩაიძე (თბ. „ბურევესტნიკი") — 14,24, 9. თ. გიორგობიანი (ქუთაისი) — 14,23, 10. თ. მეჭურჭლიშვილი (თბ. „ბურევესტნიკი") — 14,22, 1958 წ. — 14,63, 1957 წ. — 14,43.

**ჭოკი.** 1. ე. პიპინოვი (ბათუმი) — 4,25, 2. ვ. ვენცკევიჩი (თბ. „დინამო") — 4,20, 3. ი. შუქუროვი — 4,00, 4-6. გ. კობიაშვილი (თბ. „ლოკომოტივი"), ო. ხოლოდოკი, რ. გვიმრაძე (თბ. „ლოკომოტივი") — 3,80, 7. ი. დიაჩკოვი — 3, 75, 8-9. გ. ასატუროვი (თბილისი), ტ. აბიბ-ოღლი (თბ. „შრ. რეზ.") — 3,60, 10. გ. ვიბლიანი — 3,40, 1958 წ. — 3,82, 1957 წ. — 3,80.

**ბადრო.** 1. გ. ჩადუნელი (თბ. „სპარტაკი") — 48,76, 2. ო. ზუხბაია (გალი „კოლმეურნე") — 47,47, 3. ბ. ტალხანოვი — 46,37, 4. შ. გუდიაშვილი (დუშეთი) — 45,63, 5. ვ. ბლიაძე (თბ. „დინამო") — 45,50, 6. ნ. ჭეიშვილი (თბ. „ბურევესტნიკი") — 44,92, 7. ე. ნოზაძე (თბ. „ბურევესტნიკი") — 44,05, 8. ნ. სტურუა (რუსთავი „განთიადი")—43,00, 9. ო. ხოლოდოკი — 42,03, 10. შ. ელიევი (თბ. „ბურევესტნიკი") — 41,11, 1958 წ. — 44,85, 1957 წ. — 44,50.

**შუბი.** 1. ი. გიგაური (თბ. „ლოკომოტივი") — 66,47, 2. ლ. შაგოვი (თბ. „ბურევესტნიკი") — 66,38, 3. ნ. კორსანტია (გალი, „კოლმეურნე") — 65,36, 4. ვ. ჩხეიძე (თბ. „სპარტაკი") — 64,54, 5. ი. წულუკიძე (სოხ. „დინამო") — 64,24, 6. გ. ოჩიგავა (თბ. „ბურევესტნიკი") — 62,66, 7. ა. სოლოვიოვი (ბათუმი)— 62,47, 8. ვ. შმაკოვი — 62,10, 9. ა. კუპუხიძე — 60,84, 10. ბ. ტალხანოვი — 60,20, 1958 წ — 63,52, 1957 წ. — 59,55.

**ბირთვი.** 1. ვ. ბლიაძე—15,64, 2. ო. გოშაძე (თბ. „ლოკომოტივი") — 15,00, 3. გ. ჩადუნელი — 14,61, 4. გ. შავთვალაძე (თბ. „ლოკომოტივი") — 14,43, 5. გ. ერქომაიშვილი (ბათ. „ლოკომოტივი") — 14,01, 6. ი. წულუკიძე — 14,07, 7. ი. ლორია (თბ. „ბურევესტნიკი") — 14,01, 8. კ. საბანაშვილი (თბ. „ლოკომოტივი") — 13,87, 9. შ. ტრანკაშვილი (სტალინირი, „სპარტაკი") — 13,77, 10. მ. გეგეშიძე (რუსთავი „განთიადი") — 13,72, 1958 წ. — 14,22, 1957 წ. — 13,96.

**ური.** 1. ბ. ტალხანოვი — 56,98, 2. ვ. კოვალენკო (თბ. „ბურევესტნიკი")—54,55, 3. ა. დრობიშევი (თბ. „დინამო") — 53,77, 4. ა. მურავიოვი (თბ. „განთიადი") — 53,39, 5. ა. ნეცეევსკი (თბ. „ბურევესტნიკი") — 47,74, 6. ვ. მეძენკოვი (თბილისი) — 46,53, 7. რ. კანდელაკი (თბ. „ბურევესტნიკი") — 45,76, 8. დ. ჯულელი (თბ. „ბურევესტნიკი") — 45,47, 9. ბ. ვორობიევი (თბ. „დინამო") — 44,90, 10. გ. ჩადუნელი — 42,86. 1958 წ. — 49,20, 1957 წ. — 48,83.

**20 კმ სიარული.** 1. ა. შჩერბინა (თბ. „დინამო") — 1:35.07,8, 2. ა. მაკაროვი (თბ. „ბურევესტნიკი") — 1:35.37,4, 3. ნ. როსტოვი (საბჭ. არმია) — 1:37.54,2, 4. ა. მჭედლიშვილი (თბ. „ბურევესტნიკი") — 1:37.59,0, 5. ნ. ურნევიჩი (თბ. „ბურევესტნიკი") — 1:44.16,0, 6. გ. მჭედლიძე (თბ. „ლოკომოტივი") — 1:46.32,0, 7. ნ. კალანდაძე (თბ. „სპარტაკი") — 1:47.08,0, 8. ი. პროკოშკინი (თბ. „ბურევესტნიკი") — 1:49.32,8, 9. ფატიხუტდინოვი — 1.52.29,6, 1958 წ. — 1:42.58,0, 1957 წ. — 1:51.16,0.

**50 კმ. სიარული.** 1. ა. შჩერბინა — 4:26.25,0, 2. ა. მაკაროვი (თბ. „ბურევესტნიკი") — 4:29.18,0, 3. ნ. კალანდაძე — 4:36.06,0, 4. ი. პროკოშკინი — 4:49.16,0, 1958 წ.— 4:35.00,0, 1957 წ. შედეგი არ არის ცნობილი.

**ათჭიდი.** 1. ო. ხოლოდოკი — 6.469, 2. ი. დიაჩკოვი — 6.011, 3. ბ. სამოილენკო — 5.395, 4. გ. ვიბლიანი — 5.250, 5. რ. ქვაჩახიძე — 5.053, 6. მ. ტუღუში — 4.827, 7. მ. ყიფიანი — 4.660, 8. ი. შუქუროვი — 4.612, 9. ე. პიპინოვი — 4.506, 10. ვ. ვენცკევიჩი — 4.252, 1958 წ. — 5.103, 1957 წ. — 4.831.

### ქალები

**100 მ.** 1. ლ. იევლევა (თბ. „სპარტაკი") — 12,2, 2. ნ. დვალიშვილი (თბ. „დინამო") — 12,2, 3. ა. ოვივიანი (თბ. „დინამო") — 12,3, 4. ტ. პშენიჩნაია (თბ. „სპარტაკი")—12,4, 5. ე. ლუკაშევა (ბათუმი) — 12,5, 6. ზ. ხონინა (თბ. „შრ. რეზ.") — 12,5, 7-8. რ. ქოჩლაძე (თბ. „დინამო"), ლ. აბლიაზოვა (თბილისი)— 12,6, 9-10. ნ. კონოფოლსკაია (თბ. „ბურევესტნიკი"), ლ. პუტინცევა (თბ. „ბურევესტნიკი") — 12,7, 1958 წ. — 12,47, 1957 წ. — 12,5.

**200 მ.** 1. ა. ოვივიანი — 25,1, 2. ნ. დვალიშვილი — 25,3, 3. ტ. პშენიჩნაია — 25,4, 4. ვ. იევლევა — 25,5, 5-6. ფ. სტრახერი (თბ. „შრ. რეზ."), გ. ზრაჟევსკაია—26,4, 7. ნ. კონოფოლსკაია — 26,5, 8-9. გ. ფაროლდი (თბ. „ბურევესტნიკი"), ზ. ხონინა — 26,6, 10-11. რ. იანშინა (თბ. „დინამო"), ე. ლუკაშევა—26,7. 1958 წ. — 26,05, 1957 წ. — 26,1.

**400 მ.** 1. ა. ოვივიანი — 58,1, 2. გ. ზრაჟევსკაია — 58,7, 3. ს. ნარმანია (თბ. „დინამო") — 59,6, 4. ფ. სტრახერი — 59,8, 5. ნ. მუხურაძე (თბ. „სპარტაკი") — 1.00,8, 6. ლ. თოფჩიშვილი (გორი, „ლოკომოტივი") — 1.01,2, 7. ლ. მაისაშვილი (რუსთავი, „განთიადი") — 1.01,9, 8. ტ. მატიუში (ბათუმი) — 1.02,0, 9. გ. ჯავახოვა (თბილისი) — 1.02,5, 10. ლ. ზგურსკაია (თბილისი) — 1.02,7. 1958 წ. — 1.00,7, 1957 წ. — 1.01,9.

**800 მ.** 1. გ. ზრაჟევსკაია — 2.14,0, 2. ლ. თოფჩიშვილი — 2.24,2, 3. ს. ნარმანია — 2.25,9, 4. ლ. მაისაშვილი — 2.27,5, 5-6. ტ. ბერეგოვაია (გორი, „კოლმეურნე"), მ. ჩალკოვა (თბ. „შრ რეზ.") — 2.29,8, 7. ს. შახოვა (თბ. „ბურევესტნიკი") — 2.36.6, 8. დ. თევდორაძე (ბათ. „ბურევესტნიკი") — 2.40,8, 9. ნ. ცაავა (თბ. „ბურევესტნიკი") — 2.45,8, 10. ა. ტიუნინა (თბ. „ბურევესტნიკი")— 2.46,3, 1958 წ. — 2.32,1, 1957 წ. — 2.31,6.

**80 მ თარჯრბენი.** 1. რ. ქოჩლაძე — 11,1, 2-3. ჯ. ოდილავაძე (თბ. „დინამო"), ლ. იევლევა—11,4, 4. ნ. დვალიშვილი — 11,8, 5-6. ლ. ვოლოშინა (თბ. „განთიადი"), ტ. რაჟმანოვა (ბათუმი) — 12,0, 7-8. რ. იანშინა, ნ. გაბეხაძე (თბ. „ბურევესტნიკი") — 12,1, 9. ვ. ლემენჩუკი (თბილისი) — 12,2, 10. ლ. აბლიაზოვა — 12,3. 1958 წ. — 11,9, 1957 წ. — 12,1.

**სიგრძე.** 1. ლ. იევლევა — 5,98, 2. ნ. დვალიშვილი — 5,88, 3. ა. ოვივიანი — 5,68, 4. რ. იანშინა — 5,54, 5. ტ. რაჟმანოვა — 5,50, 6. ლ. ვოლოშინა — 5,43, 7. რ. ქოჩლაძე — 5,31, 8-9. ზ. სანეევა (თბ. „სპარტაკი"), ს. ხხირტლაძე (თბ. „ბურევესტნიკი") — 5,25, 10. ტ. სპირიდონოვა (ქუთ. „ბურევესტნიკი") — 5,24. 1958 წ. — 5,50, 1957 წ. — 5,46.

**სიმაღლე.** 1. ს. როზანოვა (თბ. „ბურევესტნიკი") — 1,58, 2. ა. ოლადკო (თბ. „ბურევესტნიკი") — 1,55, 3. ნ. დვალიშვილი — 1,53, 4. ლ. პატარიძე (თბილისი) — 1,52, 5. ლ. მაისაშვილი — 1,50, 6-15. ტ. რაჟმანოვა, ლ. ბუტოვა (ქუთაისი), ი. ხოდიკი (თბ. „ბურევესტნიკი"), ე. ჯუგუროვა, ნ. ბელტუროვა (თბ. „განთიადი"), დ. მინდაძე (თბ. „განთიადი"), ლ. ლევჩენკო, ლ. ჯიავლევა, რ. იანშინა, მ. კომოვა (თბ. „დინამო") — 1,45. 1958 წ. — 149,3 სმ, 1957 წ. 1,48 მ.

**ბადრო.** 1. ლ. ტუღუში (ბათ. „დინამო") — 52,53, 2. ნ. დუმბაძე — (თბ. „დინამო") — 48,43, 3. მ. ნედელია (ბათუმი) — 41,17, 4. ი. სანეევა — 39,93, 5. ი. ოგანეზოვა— 39,42, 6. ი. მხეიძე (თბ. „ბურევესტნიკი") — 39,25, 7. ტ. შატალოვა (თბ. „განთიადი")—39,03, 8. მ. დიაჩკოვა (თბ. „დინამო") — 38,87, 9. ზ. დონსკაია (გუდაუთა, „კოლმ.") 38,10, 10-11. ლ. კუჩერენკო (თბ. „განთიადი"), ე. ჩარკვიანი (ქუთ. „ბურევესტნიკი") 38,05. 1958 წ. — 41,51, 1957 წ. — 40,86.

**ბირთვი.** 1. ლ. ტუღუში — 12,51, 2. მ. დიაჩკოვა — 13,19, 3. ი. მხეიძე — 12,51, 4. გ. ბრიტვინა (თბ. „ბურევესტნიკი") — 12,28, 5. ლ. კუჩერენკო — 12,22, 6. ს. ლევიცკაია (ბათ. „სპარტაკი") — 12,00, 7 მ. კრაინიუკოვა — 11,80, 8. ი. სილაძე (თბ. „განთიადი") — 11,52, 9. ი. სანეევა — 11,51, 10. ლ. ქველიძე (თბ. „ბურევესტნიკი")—11,49, 1958 წ. — 12,20, 1957 წ. — 11,95.

**შუბი.** 1. გ. ბრიტვინა — 47,02, 2. ვ. ქიტინოვა (თბ. „დინამო") — 41,53, 3. ლ. ხარკოვსკაია (თბ. „შრ. რეზ.") — 38,75, 4. მ. კაციტაძე (თბ. „ბურევესტნიკი") — 37,30, 5. ს. ლევიცკაია — 36,80, 6. ს. ხარკოვსკაია (თბ. „დინამო") — 36,70, 7. ი. გოლოვინა (ქუთ. „განთიადი") — 36,51, 8. ო. იმნაძე (თბ. „შრ. რეზ.") — 35,71, 9. ზ. ხალილოვა (თბ. „სპარტაკი") — 35,64, 10. ნ. მაჭარაძე (თბ. „დინამო")—35,62, 1958 წ. — 36,46, 1957 წ. — 35,56.

**ხუთჭიდი.** 1. ნ. დვალიშვილი — 4.314, 2. ლ. იევლევა — 4.269, 3. რ. იანშინა — 3.874, 4. ლ. ვოლოშინა — 3.823, 5. ს. როზანოვა — 3.673, 6. ტ. რაჟმანოვა — 3.659, 7. ვ. ლემენჩუკი — 3.650, 8. მ. კრაინიუკოვა — 3.649, 9-10. ლ. აბლიაზოვა, ლ. ლევჩენკო—3.556, 1958 წ. — 3.802, 1957 წ. — 3.665.

---

## ფეხბურთელთა გადასვლის ახალი წესი ერთი გუნდიდან მეორეში

უკანასკნელ ხანებში გახშირდა ცალკეულ ფეხბურთელთა გადასვლა გუნდიდან გუნდში, რაც საგრძნობლად აფერხებს ახალგაზრდა სპორტსმენთა სწორ აღზრდას. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა აზრი, შესაძლებელია თუ არა საერთოდ მოთამაშეთა ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლის აკრძალვა? რა თქმა უნდა, ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ იქნებოდა სამართლიანი. ძნელია ფეხბურთელი სამუდამოდ მიამაგრო ერთ რომელიმე კლუბს, მაგრამ წესრიგის დამყარება ამ საქმეში შესაძლებელია და აუცილებელიც.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის სექციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა „ა" და „ბ" კლასის ოსტატთა კოლექტივებში წევრთა გადასვლის ახალი წესი. ასეთი გადასვლა ნებადართულია წელიწადში ერთხელ, საბჭოთა კავშირის პირველობის დამთავრების შემდეგ (15 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით). „ა" და „ბ" კლასის ფეხბურთელთა გადასვლის საკითხს ამტკიცებს საკავშირო სექციის პრეზიდიუმი. სპორტსმენი, რომელსაც სურს გადასვლა სხვა გუნდში 15 დღით ადრე აძლევს განცხადებას თავის ფიზკულტურის კოლექტივს. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო და ფეხბურთის საქალაქო სექცია ვალდებული არიან ორ კვირაში განიხილონ განცხადება და შეატყობინონ თავიანთი გადაწყვეტილება საკავშირო სექციის პრეზიდიუმს. თუ გადასვლა ხდება ერთი საზოგადოების სხვადასხვა გუნდში, საკავშირო სექციის პრეზიდიუმის სანქცია საჭირო არ არის. გუნდში ჩარიცხულმა სპორტსმენმა მასში უნდა დაჰყოს არანაკლებ ორი სეზონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქებსა და რაიონებში

## გურჯაანი

ჩატარდა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში, გაიმარჯვა ო. ლორთქიფანიძე... ო. ლორთქლიშვილმა, რომელმაც 100 შესაძლებლიდან მოაგროვა 99 ქულა. მეორე ადგილზეა ზ. არაბული — 97 ქულა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენებმა.

* *

აქვე გაიმართა რაიონის საშუალო და შვიდწლიანი სკოლების პირველობა მძლეოსნობაში. სტარტზე გამოვიდა 180 მოსწავლე.

100 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში უფროსი ასაკის ვაჟთა შორის კარგი შედეგი აჩვენა სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლის მოსწავლემ გ. ციკარიშვილმა. გოგონათა შორის პირველი იყო ახაშნელი ც. გურაბანიძე. პროგრამაში სხვა სახეობათაგან პირველები იყვნენ აგრეთვე ჩუმლაყელი ლ. მაზანიშვილი და ველისციხელი უ. ფარსადანოვი— ბადროს ტყორცნაში.

18-მა მოსწავლემ შეასრულა მესამე თანრიგის ნორმატივი, ხოლო 45-მა მოზარდთა თანრიგისა.

**შ. კაკაშვილი,**
**ი. ოდიშელიძე.**




# 71:60

## „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ჩეპელი" (უნგრეთი)

ბუდაპეშტის „ჩეპელი" უნგრეთის კალათბურთელთა ჩემპიონატის ერთ-ერთი ახალგაზრდული კოლექტივია. გასული წლის გათამაშებაში მან მეშვიდე ადგილი დაიკავა, ხოლო წლევანდელ პირველობაში — მეხუთე. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის შემადგენლობიდან ოთხი მოთამაშე უნგრეთის ეროვნული ნაკრების წევრია, „ჩეპელის" ვიზიტი საქართველოში ამ გუნდის პირველი საერთაშორისო შეხვედრა იყო.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელების წინააღმდეგ მატჩი სტუმრებმა საკმაოდ ნელ ტემპში დაიწყეს. როგორც ჩანს, მათ არ აწყობდათ მოედანზე მაღალი ტანის ა. ლექავას ყოფნა, ამიტომ უნგრელებმა კალათის აღების ძირითად საშუალებად შორი მანძილიდან სროლები აირჩიეს. შეხვედრის პირველ წუთებზე ლიპტოიმ და შაინტუტმა წარმატებით „დაბომბეს" თბილისელთა კალათი, მაგრამ სტუდენტებმა სულ მალე უვნებელჰყვეს სტუმრების იერიშები.

დაახლოებით მესამე წუთიდან ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელმა კალათბურთელებმა. ნათელი გახდა, რომ უნგრელებს არ ძალუძთ ბრძოლის წარმოება მაღალ ტემპში, სწორედ ამიტომ მასპინძლებმა თამაში სისწრაფეზე ააგეს. ანგარიშში განსხვავება პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სასარგებლოდ სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. გამოვლინდა სტუმრების თამაშის კიდევ ერთი ნაკლი. ისინი სრულებით არ იბრძოდნენ ბურთისათვის საკუთარი ფარის ქვეშ. ამან სამოქმედო ასპარეზი გაუზარდა როგორც ლექავას, ისე მოსეშვილს. მოედანს მთლიანად დაეპატრონნენ მასპინძლები. ამის შემდეგ უნგრელებს წარმატებაზე ფიქრი, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ. მათ რამდენჯერმე სცადეს ინიციატივის ხელში აღება, თამაშის გარდატეხა, მაგრამ ამაოდ. შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. პირველი ნახევარი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა მოიგო 7 ქულით — 31:24.

მეორე ნახევრის დასაწყისში უნგრელთა თამაშს გამოცოცხლება დაეტყო. გააქტიურდნენ თავდამსხმელები, უფრო ფხიზლად დაიწყეს მათ მეტოქეების მოქმედებათა კონტროლი და ბოლოს მთელ მოედანზეც კი დააპირეს თბილისელთა „აყვანა". მაგრამ ენერგია მათ დიდხანს არ ეყოთ. გავიდა სულ რამდენიმე წუთი და „ჩეპელის" გუნდი ჩადგა თავის ძველ კალაპოტში. მხოლოდ ლიპტოის და კოლოშს ეტყობოდათ აქტიური ბრძოლის სურვილი. მაგრამ ვერ მიიღეს რა პარტნიორების მხარდაჭერა, თანდათან ისინიც გაითქვიფნენ საერთო სიტუაციაში.

მატჩი უკვე მოგებული იყო. თბილისელთა მწვრთნელმა მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება. მოედანზე გამოვიდნენ ახალგაზრდა კალათბურთელები—გუნდის სათადარიგო შემადგენლობა, რომელმაც შეინარჩუნა უპირატესობა შეხვედრის ბოლომდე. ბრძოლა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ბუდაპეშტის „ჩეპელის" კალათბურთელთა შორის დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით—71:60.

**ნ. ბუგუშვილი**

* * *

**სურათზე: თამაშის მომენტი. მარჯვნივ — უნგრელი მსაჯი ი. საბო (შუაში) და თბილისელი რ. ხომერიკი მოედანზე.**

**ფოტო მ. ზარგარიანისა.**

ეს ისტორია უკვე მომაბეზრებელი და გაუთავებელი გახდა. ვ. კუპატაშვილის აფიორებისა და ყალთაბანდობის შესახებ ბევრჯერ დაიწერა, ბევრჯერ ითქვა, ოფიციალური ქაღალდებიც გაიგზავნა, მაგრამ დაწერილი ისევ დასაწერად ხდება, ნათქვამი — სათქმელად და ოფიციალური ქაღალდები —კვლავ გასაგზავნად.

ბოლოსდაბოლოს, რით ვერ გაიგო ზოგიერთმა „პასუხისმგებელმა მუშაკმა", რომ ვ. კუპატაშვილს სპორტთან არაფერი აკავშირებს, რომ იგი სპეკულაციას ეწევა სპორტის სახელით და ამით ცდილობს მოატყუოს გულუბრყვილო ადამიანები. და ატყუებს კიდეც.

ვიმეორებთ: ვახტანგ კუპატაშვილი ოდესღაც ჭიდაობდა. მაგრამ დისციპლინის სისტემატურად დარღვევისა და უსაქციელობის გამო როგორც ხალიჩაზე, ისე მის გარეთაც, ვ. კუპატაშვილი დისკვალიფიცირებულ იქნა ერთხელ და სამუდამოდ. გარდა ამისა, როგორც მოჭიდავე ვ. კუპატაშვილი არასოდეს არ ყოფილა დიდი ბედენა. ჭიდაობდა ისე, საშუალოდ. შეიძლება უფრო უარესადაც.

და აი, დღეს საკმაოდ მოზრდილი აფიშებიდან გვიცქერის რატომღაც გულმოსული და გაჯავრებული სახე, გარშემო სხვადასხვა პოზაში დახატულია (ხაზს ვუსვამთ — დახატულია) ტანშიშველი ათლეტი, რომელიც ხან ორფუთიან საწონებს აზრიალებს ჰაერში, ხან პიანინოს იდგამს მკერდზე მთელი მისი საკონცერტო შემადგენლობით, ხან რკინის მსხვილ მავთულს გრეხს ღვედივით, ხან ცხენი ჰყავს ბატკანივით მხრებზე მოგდებული და ხანაც სხვა ამგვარ ფანტასტიკურ ნომრებს ასრულებს.

აფიშას ზევით აწერია: „საქართველოს უძლიერესი და პოპულარული ძალოსანი ვახტანგ კუპატაშვილი".

არ დაუჯეროთ ამ ყალბ აფიშას. არასოდეს არ ყოფილა ვ. კუპატაშვილი საქართველოს უძლიერესი ძალოსანი, ხოლო პოპულარობა არ გასცდენია კიროვის ქ. № 8-ს ბათუმში, სადაც იგი ცხოვრობს.

არც იმ „ლექციას" დაუჯეროთ, რომელსაც კუპატაშვილი ყოველი სეანსის წინ კითხულობს, თითქოს მას აღეზარდოს შტანგისტი მ. ქღენტი, მოჭიდავეები გ. კარტოზია, ვ. ბალავაძე, რ. აბაშიძე. თითქოს მსოფლიო ჩემპიონი ყოფილიყოს, თითქოს... ერთი სიტყვით მტკნარი სიცრუეა, ტყუილია.

საინტერესოა, რის საფუძველზე დაბეჭდა საქპოლიგრაფგამომცემლობის ბათუმის სტამბამ ეს აფიშა 2.000 ეგზემპლარის რაოდენობით.

ამ უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის გამოა, რომ თავაშვებულად დასეირნობს ბათუმის, ქობულეთისა და სხვა რაიონებში ეს „პოპულარული" ძალოსანი, ატყუებს ხალხს და ცინცლავს ფულებს.

ჩვენ არა ვართ იმის წინააღმდეგი, რომ ვ. კუპატაშვილმა პატიოსნად იმუშაოს სცენაზე საესტრადო არტისტის ჟანრით და ნამდვილი ორფუთიანები აზრიალოს. ასეთი სანახაობანი არაა აკრძალული ჩვენს ქვეყანაში. აფიშაში ასეთი ნომერია ნაჩვენები: სპორტსმენი წევს ფიცარნაგზე, ხელებში ორი ორფუთიანი უჭირავს, ხოლო გამართულ ფეხებზე გადებული აქვს რკინა, რომელშიც 7 ასეთივე საწონია გაყრილი და ზედ ჩამოკიდებულია ხუთი მოზრდილი კაცი. კაცმა რომ თქვას, ჩვენ ეჭვი გვეპარება ამ ნომრის სიმართლეში, მაგრამ თუ ვ. კუპატაშვილს საამისო ძალა შესწევს, ღმერთმა ხელი მოუმართოს— ასწიოს.




მაგრამ ფიზკულტურისა და სპორტით სპეკულაციას თავი დაანებოს ვ. კუპატაშვილმა. თავი დაანებოს მ. ქღენტს, გ. კარტოზიას, ვ. ბალავაძეს, რ. აბაშიძეს, მსოფლიო პირველობებს.

ლუკმა-პურს პატიოსანი შრომით უნდა შოვნა, ვახტანგ კუპატაშვილო!

დაგვიჯერეთ, ასე ჯობია!

**ე. ტაბუცაძე**

## [illegible], კუპატაშვილო!

## მოვითხოვთ ყურადღებას

ცაგერის რაიონში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ქართული ჭიდაობა, მაგრამ ახალგაზრდობის ამ მისწრაფებას ყურადღებას არ აქცევენ.

კარგი მონაცემების მქონე სპორტსმენთა შერჩევაში შეიძლება სოფელ ლასურიაში, საირმეში, ორბელში, საჭიროა მხოლოდ ინიციატივიანი, საქმის მოყვარული ხელმძღვანელების ჩარევა, ფიზკულტურის კომიტეტის მხარდაჭერა და საქმე მყარ ნიადაგზე დადგება.

**ჯ. მიქაძე,**
**ო. ალავიძე,**
**დ. ფრუიძე.**

## ამხანაგური შეხვედრა

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს ამას წინათ საპასუხო ვიზიტით ეწვია ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივი.

სტუდენტთა მეგობრული შეხვედრის პროგრამაში იყო ძალოსნობა, ფრენბურთი და კალათბურთი. ძალოსანთა შეხვედრა დამთავრდა სტუმრების სასარგებლოდ — 4:2. შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდები. აქ უძლიერესნი აღმოჩნდნენ მასპინძლები, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. საბოლოო გამარჯვების საკითხს წყვეტდა კალათბურთელ ქალთა შეხვედრა.

ბათუმელმა სპორტსმენებმა ეს გადამწყვეტი თამაში ძლიერად ჩაატარეს და გაიმარჯვეს.

ამხანაგური შეხვედრა საერთო ანგარიშით 2:1 მოიგეს ბათუმელებმა.

**ჯ. დევიძე**

## მემაჯამებელ საღამოზე

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კულტურის სახლში მოეწყო კოლექტივის 1958 წლის ფიზკულტურული მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილი სპორტული საღამო.

კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბეჟუაშვილმა დამსწრეთ მოუთხრო ღონისძიებათა და მოწინავე სპორტსმენთა მიღწევების შესახებ. კომბინატში ჩატარებულ ორ სპარტაკიადაში გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ ჯილდოები.

საღამო დამთავრდა სპორტული კინოფილმის ჩვენებით.

**ა. ბარნოვი**

# ულამაზესი პარტია

✦

მოჭადრაკე ქალთა XX საკავშირო ჩემპიონატის ულამაზეს პარტიად აღიარებულ იქნა ე. კაკაბაძის პარტია ო. რუბცოვასთან. ე. კაკაბაძემ ამ პარტიისათვის მიიღო ხარკოვის საოლქო გაზეთის „კრასნოე ზნამიას“ სპეციალური პრიზი. ვაქვეყნებთ პარტიას.

✦

## ო. რუბცოვა—ე. კაკაბაძე

ძველინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 d6 3. მc3 g6 4. e4 კg7 5. f3 e5

ო. რუბცოვამ გაითამაშა ე. წ. ზემიშის სისტემა, რომელიც ჩვეულებრივ მძაფრ თამაშს იძლევა.

6. d5 c5! 7. კe3 0—0 8. ლd2 მe8 9. 0—0—0 f5 10. ef gf 11. კd3 მa6 12. h4 მac7 13. მh3 b5!

ყველაფერი, რაც აქ გათამაშდა, ცნობილია დებიუტების თეორიაში, მაგრამ ე. კაკაბაძე შემდეგ თამაშს უკავშირებს ახალ გეგმას, რომელიც გულისხმობს პაიკების შეწირვას მეფეზე იერიშის მისატანად.

14. cb a6! 15. b6 (რასაკვირველია 15. ba კ:a6 16. კ:a6 ე:a6 შემდეგ თეთრების მეფე არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა) 15. ... მb5 16. მa4 კd7 17. მg5 (თეთრების იერიში აგვიანებს) 17. ... მd4 18. მc3 მec7 20. g4 ე:b7 21. gf.



კრიტიკული პოზიცია, რომელსაც ე. კაკაბაძემ სწორად აუღო ალღო. შავების უპირატესობა აშკარაა. მათი ფიგურები საიერიშოდ არიან გამზადებული, საჭიროა ერთი ბიძგი.

21. ... e4! (რით აიყვანონ თეთრებმა პაიკი? თუ 22. მc:e4, მაშინ 22. ... მ:f5 ძლიერი მუქარებით, არც 22. მg:e4 სახარბიელო, რადგან ისევე 22. ... მ:f5 შემდეგ მავების შეტევა არ ცხრება. ამიტომ თეთრები ამჯობინებენ) 22. fe.

22. ... მcb5 23. ლg2 მc3 24. bc ლa5

ო. რუბცოვას პოზიცია უკვე უიმედოა. ქართველი მოჭადრაკე სწირავს მხედარს და გამანადგურებელ ლახვარს ცემს მეტოქის მეფეს. პარტიის ფინალი არ თხოულობს კომენტარებს.

25. cd ლa3+ 26. მფd2 ეb2+ 27. კc2 ე:c2+ 28. მფ:c2 კa4+ 29. მფd2 ლ:a2+ 30. მფe1 ლ:g2 31. ეg1 ლh2 32. ეd2 ლ:h4+ 33. კf2 ლf4 34. მe6 ლe4+ 35. ეe2 ლb1+ 36. ეd2 ლc2+ 37. მფe3 cd+ 38. მ:d4 ლc3+ 39. მფf4 მფh8 40. ეg7 მფ:g7 41. მe6+ მფg8 42. კd4 ლh3 ო. რუბცოვა დანებდა.

კომენტარები თ. გიორგაძისა

---

## ლიდერობს რ. ფიშერი

ნიუ-იორკში საინტერესოდ მიმდინარეობს ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირი. ექვსი ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობს 15 წლის გროსმაისტერი რ. ფიშერი, რომელსაც 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. ტურნირის სენსაციაა რ. ფიშერის გამარჯვება ამერიკის შეერთებული შტატების ხუთგზის ჩემპიონ გროსმაისტერ ს. რეშევსკიზე.

# როდეო

იმ დროს, როცა ამერიკის ტერიტორია დაყოფილი იყო მესაქონლეთა წვრილ რანჩოებად, რომელთა შორისაც არავითარი ხელოვნური საზღვრები არ არსებობდა, კოვბოები მთელს საქონელს ერთად აძოვებდნენ და ერთადვე პატრონობდნენ მას.

საქონლის განაწილება ხდებოდა წელიწადში ორჯერ და მისი ნაწილის მიღება დამოკიდებული იყო კოვბოების ხელოვნებასა და სისწრაფეზე. ვინც მოასწრებდა ნახევრად ველური ცხენების მეტი რაოდენობით დაჭერას, ის რჩებოდა მოგებული.

საკითხი, თუ რომელი კოვბოი იყო ყველაზე დაოსტატებული, წყდებოდა სპეციალურ შეჯიბრებაზე. ასე ჩაეყარა საფუძველი სპორტის ახალ სახეობას — როდეოს.

... მოედანზე შემორბის ნახევრად ველური ცხენი, რომელსაც ფაფარში ჩასჭიდებია მხედარი. ცხენი ხან ყალყზე დგება, ხანაც მაღლა ისვრის უკანა ფეხებს. მთელი მისი სიფიცხე და ენერგია მიმართულია მხედრის წინააღმდეგ და ეს უკანასკნელი რაც შეიძლება მეტ ხანს უნდა გაჩერდეს გაუხედნავ ცხენზე. რამდენიმე წუთის შემდეგ იგივე მხედარი საკუთარ ცხენზე გადამჯდარი გაშმაგებით მისდევს დამფრთხალ მოზვერს, ახტება მას, აქცევს და უბორკავს ფეხებს. ამის შემდეგ კოვბოები ერთმანეთს ეჯიბრებიან ცხენებითა და ძროხებით ჯირითში, ბალანსირებაში ველური ხარის ზურგზე და ა. შ. ეს არის ამერიკული როდეო.

როდეო განვითარების პირველ საფეხურზე კოვბოების ძალის, სიმარჯვისა და მამაცობის სპორტი იყო, ამჟამად კი მხოლოდ გარეგნულად წააგავს ადრინდელი კოვბოების შეჯიბრებას. სპორტულმა ბიზნესმენებმა მასში შეიტანეს ათასნაირი სატრიუკო ელემენტები, რომლებითაც მაყურებლებს „ნერვებს უხაჩინებენ“ და აზარტში შეჰყავთ.

ამერიკული ჟურნალის „ნიუსუიკის“ მონაცემებით მარტო მიმდინარე წელს ამ შეჯიბრებებს დაესწრო 14,5 მილიონი კაცი. დასახიჩრებული კოვბოების სისხლისა და ხეიბრობის ფასად ბიზნესმენები საკმაო მოგებას ნახულობენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში იღბლიან კოვბოის უწოდებენ ვინმე ჯიმ შოულდერს. მაგრამ უწოდებენ არა იმიტომ, რომ იგი შეჯიბრებებში ყველა დიდ პრიზს იგებს, არამედ იმიტომ, რომ იგი 15 წელია მონაწილეობს როდეოში და დღემდე ცოცხალია. ჯიმი საუკეთესო მხედარია და ამერიკის შეერთებულ შტატებში არავის ძალუძს მას მეტოქეობა გაუწიოს გაუხედნავი ცხენის დაურვებაში და ველურ ხარზე ბალანსირებაში.

სულ ახლახან ჯ. შოულდერი ქ. ლევისტონში (აიდაჰოს შტატი) გაშმაგებულმა ველურმა ცხენმა გადმოაგდო და წაქცეულს ტლანქად ... შეალაგა ... სამი მისამიდ მიიყვანეს [illegible] – ჯიმი საავადმყოფოში.

ამას წინათ ნიუ-იორკში გამოკრული აფიშები იუწყებოდნენ, რომ „მედისონ სკვერ გარდენში“ ტარდებოდა მორიგი „მსოფლიო ჩემპიონატი“ როდეოში. ბიზნესმენებს არაფრად აწუხებთ ის ფაქტი, რომ ამ „ჩემპიონატში“ არც ერთ უცხოელი არ მიიღებს მონაწილეობას. მთავარია, რეკლამა. იგი იზიდავს მეტ ხალხს და მოაქვს სიკვდილი ერთისთვის, ხოლო მილიონები მეორეთათვის.

✦ ✦ ✦

# უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები ახალ გზაზე

„ხორზოვი, მოსკოვი, ზაგრები, ანუ უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის სამი უკანასკნელი თამაშის ბალანსი“. ასეთი სათაურით გამოვიდა უნგრეთის პრესაში, ცნობილი სპორტული მიმომხილველი კაროი მატოლიჩი. სტატია ნათელ წარმოდგენას გვაძლევს უნგრეთის ნაკრების ევოლუციაზე და იგი ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისთვისაც.

უკანასკნელ ხანებში მძიმე გამოცდა გაიარა უნგრეთის ნაკრებმა, წერს კ. მატოლიჩი. მას მხედველობაში აქვს ნაკრების სამი მატჩი პოლონეთის, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდებთან. ამ შეხვედრებმა გუნდს დიდი სამსახური გაუწია. ჯერ ერთი, მან ახალგაზრდა მოთამაშეები ერთ მთლიან კოლექტივად შეჰკრა და, შემდეგ, ამავე ახალგაზრდებს საერთაშორისო შეხვედრათა გამოცდილება შეჰმატა.

როგორც ცნობილია, ხორზოვში უნგრელებმა დაამარცხეს პოლონელები (3:1), შემდეგ მოსკოვში ასეთივე ანგარიშით წააგეს სსრ კავშირის ნაკრებთან, და, ბოლოს, ზაგრებში ფრედ დაამთავრეს მატჩი იუგოსლავიის ნაკრებთან — 4:4. ასეთია მატოლიჩის თქმით წმინდა არითმეტიკული 50-პროცენტიანი ბალანსი.

რა იმალება ამ ციფრებს იქით? პოლონელებთან შეხვედრაში უნგრეთის ნაკრებმა ბრწყინვალე თვისებები გამოავლინა. 90 წუთის მანძილზე გუნდი თამაშობდა დიდი აღმაფრენით, განსაკუთრებით სასიამოვნო იყო თავდასხმის თამაში და 18 წლის ახალგაზრდა გერეჩის დებიუტი.

„მაგრამ ფეხბურთის გულშემატკივართა გრანდიოზულ ბანაკს დიდხანს არ უზეიმია წარმატება. მოსკოვში, პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენი მხურვალე იმედები უცბათ განელდა“. მატოლიჩი დაწვრილებით აღწერს ამ შეხვედრას და ქებას ასხამს საბჭოთა ფეხბურთელთა თამაშს.

ზაგრებმა იმედის ახალი ნაპერწკალი გააღვივა, ან ყოველ შემთხვევაში, ნათელჰყო, რომ ჯერ კიდევ ადრეა ლაპარაკი ნაკრების „დასამარებაზე“. იუგოსლაველებს შეხვედრის ბედი ორჯერ ეპყრათ ხელთ: ერთხელ, როცა მათ ანგარიში მიჰყავდათ 3:1, ხოლო მეორედ, როცა თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე წინ იყვნენ ორი ბურთით — 4:2. ამ კრიტიკულ მომენტში უნგრელებმა შეძლეს ძალების მობილიზება და ანგარიშის გათანაბრება.

ნაკრების სამი უკანასკნელი საერთაშორისო შეხვედრის რეზიუმე ასეთია: მართალია, ნელა, მაგრამ მაინც ხდება უნგრეთის ნაკრების ჩამოყალიბება. გუნდის სპორტული ფორმა უმჯობესდება, თუმცა იგი ჯერ შორს დგას „შვეიცარიის მაქსიმუმისაგან“ (ლაპარაკია 1954 წლის მსოფლიოს პირველობაზე). მოთამაშეთა ტექნიკური მომზადების დონე დამაკმაყოფილებელია, საჭიროა მხოლოდ სისწრაფის მომატება და დაცვის ხაზის გაძლიერება. გუნდს გააჩნია საკმარისი მორალური სიმტკიცე. საჭიროა მხოლოდ საკუთარ ძალებში რწმენის განმტკიცება.

თავისი წერილის დასასრულს მატოლიჩი აცხადებს: „თუ ნაკრებმა ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა, იგი გუნდის გულშემატკივრებს მრავალ სასიამოვნო სიურპრიზს მოუტანს“.

# ყოველი მხრიდან

**ტოკიო.** 1964 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორმა, იაპონიის ოლიმპიურმა კომიტეტმა კატეგორიულად დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნას ვაჟთა ფრენბურთი.

**ბერლინი.** „ნოიეს დოიჩლანდის“ რედაქციამ მიიღო ოფიციალური ცნობა ბელგიიდან იმის შესახებ, რომ აქაური ველოსიპედისტები მთლიანი გუნდით მონაწილეობას მიიღებენ მშვიდობის XII ველორბოლაში მარშრუტით — ბერლინი-პრაღა-ვარშავა.

**ბრნო.** ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა დაამარცხა ბულგარეთის ნაკრები — 63:59. გუნდები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით. ბულგარეთი — რადევი, კენევი, ლაზაროვი, ლ. პანოვი, ბარჩოვსკი. ჩეხოსლოვაკია — ბაუმრუკი, შიპი, კონეჩნი, რილიხი და კონვიჩკა.

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის პირველობაზე თავისუფალი სტილით ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: პაგერმა, კერეკეშმა, ფუსეკმა, ჰოფმანმა, ტოტმა, ხოდოშმა, გურიჩმა და რეზნაკმა.

**ბერლინი.** 1959 წლის თებერვალში სკვო-ველი (კალიფორნია) გადაიქცევა მოთხილამურეთა წინასაოლიმპიადო შეჯიბრებათა სარბიელად. ამასთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უძლიერესმა სპორტსმენებმა მიიღეს მოწვევა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. გადაწყდა, რომ სკვო-ველში გაემგზავრებიან ჰ. რეკნაგელი, ჰ. გლასი და ვ. ლესერი (სამივე მხტომელია).


30 დეკემბერს

ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი

კალათბურთში

საქართველოს ნაკრები — „ჩეპელი“ უნგრეთი

დასაწყისი 20 საათზე.



რედაქტორი ი. უბულავა.



მოჭადრაკეთა XXVI საკავშირო ჩემპიონატზე დასასწრებლად ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოუშვა

აბონემენტები

პირველ ათ ტურზე აბონემენტებისა და აგრეთვე ბილეთების შეძენის მსურველებმა განაცხადი უნდა შეიტანონ 5 იანვრამდე, რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში, რუსთაველის პრ. № 48.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.





საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07280